თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის სხდომის

ოქმი № 3

ქ. თერჯოლა 6 მაისი 2025 წელი

სხდომას უძღვებოდა: კომისიის თავმჯდომარე ბადრი ბუცხრიკიძე

სხდომას ესწრებოდნენ: 1. ბადრი ბუცხრიკიძე, 2. თემურ ქოჩიაშვილი, 3. ბიძინა ბუცხრიკიძე, 4. კობა კაცაძე, 5. ჯემალ ისაკაძე, 6. შალვა ჭანკვეტაძე.

სხდომას არ ესწრებოდნენ: 1. ივანე ჩუბინიძე, 2. როლანდი მესხი, 3. მერაბი ბასილაძე, 4. ფრიდონ გვენეტაძე, 7. გოჩა ვერულაშვილი

კომისიის შემადგენლობა: 11 წევრი
დამსწრე წევრთა რაოდენობა: 6
კვორუმი: 6 წევრი

დღის წესრიგი:

1. თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ (ქ. თერჯოლაში, რუსთაველის ქუჩაზე მდებარე შენობა-ნაგებობა(ს.კ.33.09.36.202) მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, სარგებლობის უფლებით, არსებობის ვადით გადასცეს ა(ა)იპ თერჯოლის სახელოვნებო განათლების, კულტურისა და ტურიზმის მუნიციპალურ ცენტრს(ს/კ/ 231949381) (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის № 28-282512237 წერილი, 02.05.2025 წ);

/მომხს.ბ.ბუცხრიკიძე/

2. თერჯოლის მნუნიციპალიტეტის იმ ადმინისტრაციული ერთეულების ნუსხის განსაზღვრის შესახებ, სადაც სავალდებულო არ არის ავტოსადგურიდან რეისის გასვლა (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის № 28-282512596 წერილი, 05.05.2025 წ.).

მომხს.: ბ. ბუცხრიკიძე

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 6 , წინააღმდეგი - 0

დღის წესრიგი დამტკიცდა წარმოდგენილი სახით.

1.

მოისმინეს: მომხსენებელმა, საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ბადრი ბუცხრიკიძემ კომისიის წევრებს გააცნო თერჯოლის

მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ (ქ. თერჯოლაში, რუსთაველის ქუჩაზე მდებარე შენობა-ნაგებობა(ს.კ.33.09.36.202) მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, სარგებლობის უფლებით, არსებობის ვადით გადასცეს ა(ა)იპ თერჯოლის სახელოვნებო განათლების, კულტურისა და ტურიზმის მუნიციპალურ ცენტრს(ს/კ/ 231949381) განკარგულების პროექტი.

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 6, წინააღმდეგი - 0

გადაწყვიტეს: განსახილველად გავიდეს ბიუროზე საკითხი თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ (ქ. თერჯოლაში, რუსთაველის ქუჩაზე მდებარე შენობა-ნაგებობა(ს.კ.33.09.36.202) მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, სარგებლობის უფლებით, არსებობის ვადით გადასცეს ა(ა)იპ თერჯოლის სახელოვნებო განათლების, კულტურისა და ტურიზმის მუნიციპალურ ცენტრს(ს/კ/ 231949381).

2.
მოისმინეს: მომხსენებელმა, საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ბადრი ბუცხრიკიძემ კომისიის წევრებს გააცნო თერჯოლის მნუნიციპალიტეტის იმ ადმინისტრაციული ერთეულების ნუსხის განსაზღვრის შესახებ, სადაც სავალდებულო არ არის ავტოსადგურიდან რეისის გასვლა დადგენილების პროექტი - ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის მე-16 მუხლის შესაბამისად, მუნიციპალიტეტის ერთერთი უფლებამოსილებაა, საგზაო მოძრაობის ორგანიზება, რაც მოიცავს ასევე რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას მოძრაობის მარშრუტების დადგენას.

კანონმდებლობის შესაბამისად, რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მთავარი პირობაა რეისი იწყებოდეს და მთავრდებოდეს ავტოსადგურში. ასევე მუნიციპალიტეტი თვითონ განსაზღვრავს მის ადმინისტრაციულ საზღვრებში კონკრეტულ ადგილას კონკრეტული ავტოსადგურის ფუნქციონირების მიზანშეწონილობის საკითხს. რაც ერთერთი მნიშვნელოვანი პირობაა ავტოსადგურების სერტიფიცირებისათვის. (აღნიშნულის განსაზღვრა მოხდება საქართველოს მთავრობის შესაბამისი ნორმატიული აქტით.)

ასევე, იმისათვის, რომ მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებულ დასახლებაში ავტოსადგურის არ არსებობის შემთხვევაში არ დაირღვეს კანონმდებლობით გათვალისწინებული პირობა, იმასთან დაკავშირებით, რომ რეგულარული სამგზავრო გადაყვანის დროს რეისი უნდა იწყებოდეს და მთავრდებოდეს ავტოსადგურში, მუნიციპალიტეტს მინიჭებული აქვს უფლებამისილება, შესაბამისი ნორმატიული აქტით განსაზღვროს იმ დასახლებების ჩამონათვალი საიდანაც არ იქნება სავალდებულო ავტოსადგურიდან რეისში გასვლა. სწორედ ამ უფლებამოსილების ფარგლებშია დასამტკიცებლად წარმოდგენილი ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის იმ ადმინისტრაციული ერთეულების ნუსხის განსაზღვრის შესახებ, სადაც სავალდებულო არ არის ავტოსადგურიდან რეისის გასვლა „ დადგენილების პროექტი.

აზრი გამოთქვეს: კომისიის ყველა წევრმა.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 6, წინააღმდეგი - 0

გადაწყვიტეს: განსახილველად გავიდეს ბიუროზე საკითხი თერჯოლის მნუნიციპალიტეტის იმ ადმინისტრაციული ერთეულების ნუსხის განსაზღვრის შესახებ, სადაც სავალდებულო არ არის ავტოსადგურიდან რეისის გასვლა.

კომისიის თავმჯდომარე

ბადრი ბუცხრიკიძე